



ფიზიკური ინფორმატიკა

სპეციალიზაცია გულისხმობს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ღრმად შეისწავლიან თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილ ინტეგრალური მიკროსქემების ბაზაზე ახალი ხელსაწყოებისა და აპარატურის მათემატიკურ მოდელირებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფიზიკურ საფუძვლებს და მათი გამოყენებით დაეუფლებიან ინფორმატიკის ახალ პერსპექტიულ მიმართულებას – ფიზიკურ ინფორმატიკას, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების გამართვასა და სერვისს.



მიკროელემენტრონიკა და ოპტოელემენტრონიკა

წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების და საერთოდ ნებისმიერი თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობის საფუძველს. ამ სპეციალიზაციის სტუდენტები სრულყოფილად დაეუფლებიან: მიკრო- და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების დაპროექტების და შექმნის ტექნოლოგიური პროცესების სრულ ციკლს, XXI საუკუნის პერსპექტიული დარგის – ნანოელექტრონიკის ფიზიკურ საფუძვლებს და სხვა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში ამ დარგის სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა.


სამედიცინო ფიზიკა

თანამედროვე მედიცინაში ფართოდ გამოიყენება დიაგნოსტიკის და მკურნალობის ფიზიკური მეთოდები და ხელსაწყოები (ლაზერები, რენტგენის აპარატები, ტომოგრაფები, სხვა ელექტრონული აპარატურა), ინერგება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. ამდენად, სამედიცინო დაწესებულებები საჭიროებენ ისეთ სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ ფუნდამენტური ცოდნა ფიზიკაში, მათემატიკაში, ელექტრონიკაში და საფუძვლიანად ერკვევიან სამედიცინო პრობლემებში. სპეციალიზაცია ასევე ითვალისწინებს ადამიანისა და გარემოს რადიაციული უსაფრთხოების ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადებას, რომელიც დაუფლებული იქნება ანალიზის თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს, რაც საშუალებას მისცემს შეისწავლოს სხვადასხვა ტიპის რადიაციული ველები, მათი ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე, ბიოლოგიურ ობიექტებსა და ტექნოლოგიურ პროდუქციაზე. აგრეთვე, შეიმუშავოს ადამიანსა და გარემოზე არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილების საშუალებები.



ფიზიკა-ტიქნიკური ექსპერტიზა

სპეციალიზაცია გულისხმობს საექსპერტო საქმიანობის განხორციელებას მოკვლევის ორგანოების, სასამართლოების, წინასწარი გამოძიების და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უზრუნველყოფისთვის, სპეციალური ტექნიკური ცოდნის გამოყენების გზით. ამ სპეციალიზაციის სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან კვლევის ფიზიკური მეთოდების გამოყენებას მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის კრიმინალისტიკურ საქმიანობაში. სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან ელექტრონული ტექნიკის ხელსაწყოების, სტრუქტურების და მასალების დიაგნოსტიკისაც. აითვისებენ მიკროსტრუქტურის კვლევის მიკროსკოპიულ მეთოდებს, ნივთიერების სტრუქტურის კვლევის დიფრაქციულ მეთოდებს, მცირე ზომის ნაწილაკთა ფიზიკას, ელექტრონული ხელსაწყოების ტექნიკურ დიაგნოსტიკას.






აბიტურიენტებისთვის, რომლებიც გაააფხვებენ ჩაბარონ ჩვენს სპეციალურ ბაზაზე, საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უშასკო მომზადებას ერთიანი ეროვნული ბაკალავრისთვის ფიზიკასა და უნარ-ჩვევებში;

სწორი პროფესიული ორიენტაციის არჩევამი ხელშეწყობისთვის ატარებს ღია კარის დღეებს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საინჟინრო და საბუნებისმეტყველო დარგები (სპეციალობები) პრიორიტეტულ მიმართულებებად განიხილება. შესაბამისად, ამ სპეციალობებზე (მათ რიცხვშია საინჟინრო ფიზიკის სპეციალობებიც) სწავლა სრულ სახელმწიფო დაფინანსებას ექვემდებარება. **აიჩრამ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი სპეციალიზაცია და ისწავლე უშასკო!**

ჩვენ სპეციალობის სტუდენტებისთვის ფიზიკის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის აღზრდას. დეპარტამენტში ფუნქციონირებს ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფიზიკის მრავალპროფილიანი სასწავლო ლაბორატორია, სადაც იგეგმება, სრულდება, ინერგება გამოყენებითი ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოები. ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტები საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა გაცვლით პროგრამებშიც მონაწილეობენ. ყოველწლიურად, ფიზიკის დეპარტამენტში სტუდენტებისთვის ტარდება „შემოდგომის ლექციები თბილისში“. ორი კვირის განმავლობაში ლექცია-სემინარებს ატარებენ ბონის, კიოლის, დიუსელდორფის უნივერსიტეტისა და იულისის სამეცნიერო ცენტრ „Foshungszentrum“-ის წყევანი პროფესორები. ისინი, ასევე, ატარებენ 20 დღიან საზაფხულო სკოლას თბილისსა და ბათუმში. ფიზიკის დეპარტამენტის 6 სტუდენტი ჩართულია იულისის ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო სამუშაოებში და საშუალება ეძლევათ იქვე გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

ჩვენი სპეციალობების კურსდამთავრებულებს შემოქმედებით დასაძმდენ და წარმატებით იმუშაონ მრავალი ბანხრით. ჩვენს ინჟინრებზე, მენეჯერებზე, მცნიერებზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია.



თბილისი 0175, კოსტავას ქ. 77
 სტუ, IV სასწავლო კორპუსი
 საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი
 ოთახი 308, 310. ტელ.: 236 3634



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი



- * საინჟინრო ფიზიკა
- * ფიზიკა

სპეციალიზაციები:

- ფიზიკური ინფორმატიკა
- მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა
- სამედიცინო ფიზიკა
- ფიზიკა-ტექნიკური ექსპერტიზა

$E=mc^2$

